

ტრანსნაციონალური დანაშაულისა და
კორუფციის კვლევის ცენტრი
კავკასიის ოფისი (*TraCCC CO*)
www.tracc.cdn.ge



სტრუქტურული რეორგანიზაცია და
საკადრო ოპტიმიზაცია შინაგან საქმეთა
სამინისტროში

შინაგან საქმეთა სამინისტროში რეფორმაზე პასუხისმგებელი დანაყოფები

- უშიშროებისა და სამართალდამცავი ორგანოების რეფორმირების უწყებათაშორისი კომისია (შეიქმნა 2001 წლის დეკემბერში, გაუქმდა 2003 წლის დეკემბერში);
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმების სააგენტო (შეიქმნა 2004 წლის იანვარში, გაუქმდა 2004 წლის ივლისში);
- შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმებისა და ევროპული ინტეგრაციის დეპარტამენტი (შეიქმნა 2004 წლის დეკემბერში).

სტრუქტურული ცვლილებები შინაგან საქმეთა სამინისტროში

სტრუქტურათა შერწყმა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან

- სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი (**2004** წლის იანვარი);
- სახელმწიფო რეზერვების დეპარტამენტი (**2004** თებერვალი);
- სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო (საგარეო დაზვერვის დეპარტამენტის გამოკლებით, 2004 წლის დეკემბერი).

რეფორმის შედეგად შინაგან საქმეთა სამინისტროში გაუქმებული დანაყოფები

- სატრანსპორტო პოლიციის დეპარტამენტი (2004 წლის ივლისი);
- საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველო (2004 წლის ივლისი);
- საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მთავარი სამმართველო (2004 წლის ივლისი);
- ეკოლოგიის პოლიციის მთავარი სამმართველო (2004 წლის ივლისი).

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შექმნა

- ავტომაგისტრალების საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველო – შეიქმნა 2004 წლის აგვისტოში;
- 2004 წლის დეკემბერში რეორგანიზებული იქნა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტად;
- მთავარი ამოცანა – საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა;
- თანამედროვე საპოლიციო აღჭურვილობა: მანქანები, უნიფორმები, ცეცხლსასროლი იარაღი, ხელბორკილები და სხვ.;
- საზოგადოების ნდობის მოპოვება.

შსს-დან სხვა სტრუქტურებისთვის გადაცემული დანაყოფები

- შინაგანი ჯარები – გადაეცა თავდაცვის სამინისტროს (2004 წლის ნოემბერი);
- საპასპორტო-სავიზო და მოსახლეობის რეგისტრაციის ეროვნული ბიურო - გადაეცა იუსტიციის სამინისტროს (2004 წლის ნოემბერი);
- წინასწარი დაკავების იზოლატორები – გადაეცა იუსტიციის სამინისტროს.

გამოძიებისა და მოკვლევის ფუნქციათა გაერთიანება

- გაერთიანდა მოკვლევა და წინასწარი გამოძიება – შეიქმნა ერთიანი საგამოძიებო სისტემა;
- პოლიციის წარმომადგენელთა მონაცემებით, გამოძიებისა და მოკვლევის გაერთიანებამ გაზარდა დანაშაულის რიცხვი;

რეფორმის პროცესში მიღწეული შედეგები

- ხელფასების ზრდა;
საკანონმდებლო ცვლილებები
გამოძიებისა და მოკვლევის
გაერთიანებასთან დაკავშირებით;
- პოლიციის აკადემიის რეორგანიზაცია;
- კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის
გაძლიერება;
- საზოგადოების ნდობის მოპოვება.

პრობლემები

- შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმის ერთიანი სამოქმედო გეგმის არარსებობა;
- საკანონმდებლო პრობლემები;
- ერთიანი საკადრო პოლიტიკის არარსებობა;
- საპოლიციო და სამოქალაქო ფუნქციების მკვეთრი გამიჯვნა.

პრობლემები

- საპოლიციო და უშიშროების ფუნქციების გაუმიჯნაობა

პოლიციის თანამშრომელთა რაოდენობა საბჭოთა დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში

საბჭოთა პერიოდი

პოლიციის თანამშრომელი - 25,000

სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი - 900

მოსახლეობა – 5, 400,800

შეფარდება - 1/216

დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდი

პოლიციის თანამშრომელი - 53,000 (ნებით დაქირავებულების ჩათვლით)

მოსახლეობა – 4,771,535

შეფარდება - 1/89

არსებული მდგომარეობა


თანამშრომელთა რაოდენობა - 32,731

შეფარდება - 1/145 (ევროპული სტანდარტი – 1 პოლიციის ოფიცერი 240-400 მოსახლეზე)

საკადრო ოპტიმიზაცია შინაგან საქმეთა სამინისტროში

- რეკლუციის შემდეგ საკადრო ოპტიმიზაციისა და რეფორმირების პროცესში დაახლოებით დათხოვნილი იქნა 16 000 პოლიციის თანამშრომელი
არსებული 32 731 თანამშრომლიდან საპოლიციო ფუნქციას ახორციელებს 12 000.
- სიტუაციის არაობიექტური შეფასება
ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიურო (40-ზე მეტი თანამშრომელი)

რეგიონებში შემცირებულ თანამშრომელთა რაოდენობა



დეცენტრალიზაცია და დანიშვნის პროცედურების გამარტივება

- კადრების მართვის ფუნქციები გადაეცა შესაბამისი დეპარტამენტის თავმჯდომარეებს (2005 წლის იანვარი)
- დეპარტამენტის ხელმძღვანელები და რეგიონალური პოლიციის უფროსები ნიშნავენ დაბალი რანგის პოლიციის ოფიცრებს
- საშუალო და მაღალი რანგის ოფიცრები ინიშნებიან მინისტრის თანხმობით
- პრობაციის პერიოდი (3 თვე)

პოლიციის აკადემია

- საკადრო პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტი
- პოლიციის აკადემიის რეორგანიზაცია სპეციალურ სასწავლო ცენტრად
- პოლიციის აკადემიისა და კადრების მთავარი სამმართველოს კოორდინირებული მუშაობა



Transnational Crime and Corruption Center

Caucasus Office

(TraCCC CO)

www.traccc.cdn.ge